

საქართველოს კანონი

„სამშენებლო საქმიანობის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (თბილისი 2000 წლის 27 ოქტომბერი №577 – II) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის „მ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საკვეუწყებო დაწესებულება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია და მის სისტემაში შემავალი ადგილობრივი ინსპექციები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში“

2. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. სამშენებლო საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება
სამშენებლო საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება ხდება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის და სამშენებლო საქმიანობის მონაწილეთა მიერ, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს:

- ა) სამშენებლო ნორმების, წესების, სტანდარტებისა და სახელმეკრულებო ვალდებულებების უხეში დარღვევა;
- ბ) ფორსმაჟორული სიტუაციები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

